# სამშობლო

პარასკევი 24 ივლისი 1915 წ.

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ., ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს [illegible] და დარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებათა [illegible] ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილიდან [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 137 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 137

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო“

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 23 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:

I
პატე ჟურნალი.

II
ნორდისკის სენსაცია!
სიმები დასწყდეს, აკორდი მაინც გოდებს.
სამ ნაწილათ, ევა ტომსენისა და რობერტ დინზენის მონაწ.

III
ცოცხალი მანეკენი.
მხიარული კომედია.

ანონსი: ორშაბათიდან, 27 ივლ. ნაჩვენები იქნება:
დაიმსხვრა სიცოცხლე, გაცრუვდა ოცნება.
1002 მოხერხება. ფარსი ბაუერის მონაწილეობით.

ევთიმე საბას ძე თვარაძე, ასულნი: ვასასი, სალომე გუგავასი, მატრონა ხელაძისა, მინადორა ჩაკვეტაძისა, მღ. ივანე თვარაძე შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას, პირველი ძვირფასი შვილისას, მეორენი საყვარელი ძმისას, ხოლო მესამე ძმისწულისას და უკანასკნელნი ბიძის შვილისას

პორუჩიკის ვასილ ექვთიმეს ძის თვარაძისას

რომლის ცხედარს წაასვენებენ დღეს ქ. ქუთაისიდან დაბა ლაილაშში, სადაც დაკრძალვენ შაბათს, 25 ივლისს, დღის 1 საათზე. 1—1—536

ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საგანგებო საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 2 აგვისტოს, დილის 11 საათზე საკუთარ შენობაში—საგანი კრებისა: არჩევა გამგეობის ერთი წევრისა განსვენებული მიხეილ ივანეს ძის ქუთათელაძის მაგიერ.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს ფრანგულ ენას.
პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დაწყებითს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—7 ს.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი
ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი მიხეილ კაშია
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. დებულობს დილის 7 საათ.
მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიფოვის მაღაზიის პირდაპირ.


## ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

ბრძოლებია მოწინავე რაზმებისა. ალეშკერტის მიმართულებით არიერგარდების ბრძოლებია.

აღმოსავლეთის ასპარეზზე გადამწყვეტი ბრძოლები გრძელდება.

ბაუსკ—რიგის მიმართულებით ბრძოლებია მდ. მისასთან. პონევეჟის აღმოსავლეთით გერმანელები განაგრძობენ შეტევას.

ნარევზე ბრძოლებია კოლვო-ლომჟის მიმართულებით.

რუსის ჯარმა დასტოვა ბრძოლის ხაზი ბლონესთან, რომელიც ვარშავის დასავლეთით სდევს და თავი მოიყარა ვარშავის პოზიციებთან.

მაციევიცთან გერმანელები სცდილობენ თავისი ახლად დაპყრობილი რაიონის გაფართოებას.

ივანგოროდის რაიონში რუსის ჯარმა უკან დაიხია და თავი ი მოქმედების ხაზი შეამოკლეს.

ცხარე ბრძოლებია ხოლმის მიმართულებით. გორალისის რაიონში ხოლმ-ვლოდავის გზაზე გერმანელები ცდილობდენ რუსის ფრონტის გარღვევას. აქ მეტად მკაცრი ბრძოლები გაჩაღდა. რუსის ჯარმა შესძლო მტრის გამკლავება და მტერი უკუ აქცია.

ბუგზე, ზოლოტაი ლიპაზე და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა.

## ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 22 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. მთელ ფრონტზე ჩვენ მოწინავე ნაწილებს ოსმალებთან შეტაკება უხდებათ. ალეშკერტის მიმართულებით გრძელდება არიერგარდების ბრძოლები.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 21 ივლ. ოფიც. მთავარ სარდლის შტაბისაგან. ჩვენმა ჰიდროპლანებმა ვინდავასთან იერიში მიიტანეს იქ მყოფ გასაგზავნ-გამოსაგზავნ გემის წინააღმდეგ და იძულებულ ჰყვეს ნაპირზე გამორიყულიყო. იგივენი დაეცნენ მტრის ცეპელინს და ორს ჰიდროპლანს და გააქციეს. ერთი მათგანი ჩამოაგდეს. რიგის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. ეკაუს ამოეფარა. პონევეჟის აღმოსავლეთით, 19 და 20 ივლისს მკაცრი შეტაკებანი კვლავ ხდებოდა. კოვნოს დასავლეთით შეტაკებანი გახშირდა ნარევზე, შკვის შესართავთან მტერს ენერგიული იერიშები მოაქვს, თხრილები ერთი მეორის ხელში გადადიან და ხშირად ხიშტებით ბრძოლა გვიხდება. მკაცრი ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ნარევის მარცხენა ნაპირით როჟანის ჩრდილოაღმოსავლეთით, ძებენინ-ბჟესნოს რაიონში, სადაც მტერს თითო ნაბიჯის გადმოდგმაზე დიდი ზიანი და დანაკლისი მოსდის. ქვემო ნარევზე და ვისლის მარცხენა ნაპირით 20 ივლისს მხოლოდ სროლა იყო.

მდინარე ვისლაზე გადასული გერმანელების რაზმები სასტიკი ბრძოლის შემდეგ 19 ივლისს საღამოს შევიდნენ და დაიპყრეს დიდი გაცეევიცის ჩრდილოეთით და გაიწიეს დიდ მანძილზე. ვისლასა და ბუგს შუა გერმანელებს იერიშები მოჰქონდათ კურავის რაიონში და ლიუბლინიდან ჩრდილოეთით; აქ იერიში მოგერებულ იქმნა და გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, აგრეთვე მოგერებულ იქნენ გროვნიკვლოდავას გზატკეცილის ორივე მხრით. გერმანელებმა შესძლეს რამდენამდე წინ წაწევა მდ. სვინკის ქვედა მიმდინარეობაზე. ბუგზე, ზოლოტაია ლიპაზე და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა. დნესტრსა და ბუგს შუა გერმანელების სუსტი იერიშები მოგერებულ იქნა.

შავ ზღვაზე რუსეთის ნალმოსნებმა ანატოლიის მთელი სანაპირო გაჩხრიკეს, და 450 ილქნიანი გემი დალუპეს. მეზღვაურები ტყვედ წამოიყვანეს.

**პეტროგრადი.** 22 ივლ. მთავარ სარდლის შტაბისაგან. 21 ივლ. ბაუსკ-რიგის მიმართულებით ბრძოლები მოხდა მდ. მისსაზე. პონევეჟის აღმოსავლეთით გერმანელები შეტევას განაგრძობენ. ბრძოლებს ამ რაიონში ცვლილებადი ხასიათი აქვთ. ნარევზე ჩვენ ვიგერებდით მტრის იერიშებს კოლკოლომჟის მიმართულებით. შკვის შესართავთან და ოსტროლენკას ხაზზე ჩვენი ჯარი ბრძანების გამო ბლონიეს ხაზიდან ვარშავის პოზიციაზე გადავიდა. მტერს ხელი არ შეუშლია. მაციევიცთან ვისლაზე გადასული გერმანიის ჯარი უშედეგოთ სცდილობდა თავისი რაიონის გაფართოებისთვის. ივანგოროდის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძანებისამებრ თანდათან შეამოკლა ვისლის მარცხენა ნაპირზე თავის მოქმედების ფრონტი. ვისლასა და ბუგს შუა ბრძოლა გრძელდება. ვეპრჟის მარჯვენა ნაპირზე, დრატოვის ტბასთან სოფ. ლენჩკოს ჩრდილოაღმოსავლეთით და ხოლმ-ვლოდავის გზაზე გორა-ლისოს რაიონში 21 ივლ. სცდილობდა ჩვენი ფრონტის გარღვევას. ბრძოლამ აქ ჯერეთ არნახული ხასიათი მიიღო, თავი ისახელეს 42 ქვეითა დივიზიამ მე-19-ე პოლკის დახმარებით და 70 დივიზიამ. მტრის ყუმბარებმა აავსო მათი სანგრები. ისინი მამაცათ იგერებდენ მტრის იერიშებს. დაბინდებისას მათ თითონ შეუტიეს და გერმანელები უკუაგდეს, რომელნიც უწესრიგოთ გაიფანტენ. ჩვენ წარმატებას ხელს უწყობდა სამხედრო ავტომობილები. ბუგზე, ზოლოტაია ლიპაზე და დნესტრზე ბრძოლა არ ყოფილა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 20 ივლ. ოფიციალური. არტუაში და ენის ხეობაში ოდნავი არტილერიის სროლაა. გუშინ არასსში და სუასონში რამდენიმე ყუმბარა ჩამოვარდა. არგონებში გაძლიერდა ქვეითა ჯარის მოქმედება. 20 ივლ. ღამით 213 მეტრის სიმაღლესთან გერმანელებმა დაიპყრეს ერთი ჩვენი სანგარი, რომელი ნაწილიც შემდეგ დავიბრუნეთ. მარი-ტერეზის მიდამოებში მტერმა იერიში მოიტანა, აქ მან ხელთ იგდო ერთი სანგართაგანი. ჩვენ იერიშით დავიბრუნეთ სანგრის უმეტესი ნაწილი, მაასის მარჯვენა ნაპირზე და ვევრში ჩვეულებრივი სროლაა. ვოგეზში საღამოთი რამდენიმე ბრძოლა იყო იმ პოზიციებთა, რომელნიც ჩვენ დავიკავეთ ლენშის სიმაღლესთან, არაცმენელესთან და ბერენკოპფთან. დავიკავეთ გერმანელთა რამდენიმე სანგარი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 50 ჯარის კაცი.

**პარიზი.** 21 ივლ. ოფიციალური, არგონში მთელ დღის განმავლობაში არტილერიის ცხარე ბრძოლაა ტყის დასავლეთის ნაწილიდან სენტიუბერის რიონამდი. ფრონტი არ შეცვლილა. ლოკუაში გერმანელებმა ააფეთქეს ადგილი, რომელსაც ჩვენი სანგრები არ დაუზიანებია. აპრემონის ტყეში და ბანდესაპტში სროლაა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 20 ივლ. ოფიციალური. სანპელეგრინოში მტერმა იერიშები განაახლა კოსტაბელას პოზიციებთან. იერიშები მოვიგერეთ ლივინალუნგოს ჩრდილოეთით მტერმა სცადა დაეპყრა პეოკასა და სასოდიმაცოდის მაღლობები, მაგრამ ვერას გახდა. კარნიაში, პრცელიდან მტერი გავდენეთ, აგრეთვე პიტცოს მაღლობიდან და დონიეს სათაურიდან ტყვეთ ჩაგვივარდა 107 კაცი, მათ შორის 7 აფიცერი, კორსოში, მონტესეიბუზოს რაიონში იერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენ მტერი უკუვაგდეთ. ჩვენმა მზვერავებმა დობრადოში გაფანტეს მტრის დიდი კოლონა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 348 კაცი, მათ შორის 14 აფიცერი. საზოგადო რიცხვი უდრის 18000 კაცს, მათ შორის 380 აფიცერია.

**რომი.** 22 ივლ. ოფიციალური. კადორში ჩვენ დავანგრიეთ მტრის გამაგრებული ადგილები. კარნიაში მტერს უნდოდა მედეტას სიმაღლის დაბრუნება, მაგრამ დამარცხდა. სკრანიციდან მონტეკესტალტამდი მდებარე პოზიციების წინააღმდეგ მტერმა უეცარი იერიში მოიტანა, მაგრამ დამარცხდა. ფორჩელოსთან ჩვენ ვნახეთ 200 თოფი და ტყვეთ წამოვიყვანეთ 20 კაცი. მალბორგეტოში, ფორრელოს წინააღმდეგ მტერმა სროლა ასტეხა, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ მტერი მალე ჩააჩუმა. მონტესეიბურის რაიონში მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ დამარცხდა. მარჯვენა ფრთაზე ცხარე ბრძოლებია. ტყვეთ წამოვიყვანეთ 345 კაცი, მათ შორის სამი აფიცერი.

### მუშების არეულობა.

**ნიუიორკი.** 21 ივლ. უნგრელ მუშათა აჯანყების დროს ალუმინიის ქარხანაში, გამოწვეულ მილიციას შამოაკვდა ერთი კაცი. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

### პუანკარეს მოგზაურობა.

**პარიზი.** 21 ივლ. ფრონტზე მოგზაურობის დროს პუანკარემ ინახულა ბელგიის მეფე და გადასცა მას სამხედრო ნიშანი. ამასთანავე პრეზიდენტმა დაარწმუნა მეფე, რომ საფრანგეთი უყურებს ბელგიის საკითხს, როგორც თავის საკუთარს. პრეზიდენტი პარიზში დაბრუნდა.

### გერმანიის განმარტოება.

**სტოკჰოლმი.** 21 ივლ. ომის წლის თავზე, ბერლინის გაზეთები აღნიშნავენ, რომ თუმცა გერმანია გამარჯვებულია,

მაგრამ პოლიტიკურათ ის განმარტოებული სდგას და შემდეგში ის წინანდელი გერმანია აღარ იქნება.

### დ ა რ დ ა ნ ე ლ ი.

**ლონდონი.** 22 ივლ. ბეჭდითი სიტყვის ბიურომ გამოაქვეყნა გამილტონის მოხსენება: 20 ივლ. ინგლისის ჯარმა მოხერხებული იერიშით ავსტრალიის და ახალ ზელანდიის კორპუსების მარჯვენა ფრთაზე დაიკავოს ოსმალოთა სანგრები, მოკლულია 70 ოსმალო. ჩვენ დავიკავეთ მთის ქედი და ამით გავაუმჯობესეთ ჩვენი მდგომარეობა.

**სტოკჰოლმი.** 20 ივლისი. შვეციის პრესამ იმსჯელა ერთი წლის ომის შედეგებზე და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ მალე ზავის ჩამოგდებაზე ფიქრი ყოვლად შეუძლებელია, რადგან მებრძოლი სახელმწიფოები არათუ ფიქრობენ ომის განგრძობას, სურთ მოიმხრონ ნეიტრალური სახელმწიფოებიც ომში ჩასარევათ.

„სვენსკა-დაგ ბლადეტი“ მოუწოდებს შვედებს ერთობისადმი და აღნიშნავს, რომ მსოფლიო ომმა გადააბრუნა საერთაშორისო სწავლა.

შეერთებული ძალნი ცალკე სახელმწიფოებისა უფრო ძლიერი გამოდგა ვიდრე მოელოდენ.

**„დაგენსნიეტებ“,** აღნიშნავს უმაგალითო ფიზიკურ ძალას, რომელიც გამოიჩინა ხალხმა დღევანდელს საშინელს ბრძოლაში, რომელიც მოწმობს, თუ რამდენათ სიცრუეა იმის მტკიცება თით ქო თანამედროვე თაობა დაუძლურებული იყოს.

**სოფია.** საიდუმლო კაბინეტის უფროსმა დობროვიჩმა დღეს მიიღო ავსტრიის ელჩი.

**პეტროგრადი.** 20 ივლისს გაიხსნა წითელი ჯვრის უმთავრესი გამგეობის სხდომა, რომლის თავმჯდომარემ გოფმეისტერმა ილინმა კრებას აუწყა უეცარი გარდაცვალება გამგეობის წევრისა საპატიო ლეიბმედიკი შაპიროვის, რომელიც გარდაიცვალა ღამით 20 ივლისს ტერიოკში.

### საუბარი რუსეთის ელჩთან.

**ლონდონი.** 21 ივლისი. რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელს ომის წლის თავის გამო საუბარი ქონდა რუსეთის ელჩთან. ელჩის აზრით ინგლისსა და რუსეთის შუა სრული თანხმობაა და ზავი მანამ არ ჩამოვარდება, სანამ ჩვენ თვით არ უკარნახებთ მტერს ჩვენს პირობებს. ინგლისიც დიდის ინტერესით თვალყურს ადევნებდა რუსეთის როგორც გამარჯვებას ისე დამარცხებას. მე დავალებული მაქ გამოვამცხადო, რომ მ. ი. უ. სრულის სოლიდარული გრძნობით უცქერის რუსეთისა და ინგლისის დამოკიდებულებას. რუსეთის გადაწყვეტილება შეურყეველია და ამას მალე იგრძნობს ჩვენი მტერი.

### სტაფის სიტყვა.

**სტოკჰოლმი.** 19 ივლ. საჯარო კრებაზე სტაფმა სიტყვა წარმოსთქვა. ომმა დაგვიმტკიცა წყალქვეშა ნავების დიდი მნიშვნელობა. სტაფი შეეხო აქტივისტების აგიტაციას და სთქვა, რომ ქვეყნისთვის ასეთი აგიტაცია საზარალოა.

### ბელგიის მთავრობის წიგნი.

**პარიზი.** 20 ივლ. ბელგიის მთავრობამ გამოაქვეყნა რუხი წიგნი ორ ნაწილათ. პირველი ნაწილი შეიცავს დიპლომატიურ მიწერ მოწერას ბელგიასა და ოსმალეთს შორის, მეორე ნაწილი შეიცავს ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევას ავსტრია გერმანიას მხრით.

### ვენიზელოს დაბრუნება.

**ათინა.** 20 ივლ. მომავალ კვირეში აქ მოელიან ვენიზელოს, ხმებია მეფემ მოისურვა ვენიზოლის ნახვაო.

### რუხი წიგნი.

**ჰააგი.** 20 ივლ. გერმანიის ბრალდების საპასუხოთ ბელგია „რუხ წიგნში“ ამტკიცებს, რომ ოთხი თვის წინეთ ომამდი გერმანიამ წინადადება მისცა საფრანგეთს გაეყოთ ბელგიის კონგო და გამოერიცხათ ბელგია დამოუკიდებელ ერებისაგან წიგნში საბუთებით არის დამტკიცებული, რომ იაგოვის მიერ მიცემული წინადადება სრული ჭეშმარიტებაა.

---

## ჟურნალ გაზეთებიდან.

### 900 წლის თავი წმ. ვლადიმერის გარდაცვალების გამო.

16 ივლისს 900 წ. დღეს წმ. ვლადიმერის გარდაცვალებისას გადატანილი იყო თავადის ნაწილები ადმირალიტეისკის საკრებულო ტაძრიდან ხერსონის წონასტერში. აკურთხეს ზღვის ნაპირები, სადაც თ-დი მოინათლა.

### მუშაობა ძვირათ დაჯდა.

ქ-ნი სმირნოვი „უტრო როსიაში“ აცხადებს თავის გულის წყრომას იმ მკვდარი ფორმალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ხშირად ცოცხალ საქმეს ეფარება. „როდესაც სულის შემხუთველი გაზების საწინააღმდეგო ბრძოლისთვის გვიწვევდენ, მე დავამზადე 780 პირბადე, როგორსაც დღეს ხმარობენ. ეს პირბადენი ჩემი ხარჯია და შრომით დამზადებული წავიღე წითელი ჯვრის განყოფილებაში ილინკაზე, სახლი 21. აქ გასინჯეს და მოიწონეს ისინი, მხოლოდ გამომიცხადეს, რომ ეს პირბადენი გაგზავნილი არ იქნება თუ რომ არ გადავიხდი 7 კ. თითო პირბადეზე. რადგან პირბადეზე უნდა გადაიკრას გაზთა საწინააღმდეგო შემადგენლობა, ამიტომ იქვე გადამახდევინეს 5 მანეთი და კაპეიკები ჩემი პირბადეების მომქმედ ჯარში გასაგზავნათ.

თურმე თუ მოამზადებ რესპირატორებს სავალდებულოა გადაიხადო შენი მუშაობის საფასური, უამისოთ ის დანიშნულებას ვერ მიაღწევს“. „ნ. ვ.“.

### ჟორესის ხსოვნას.

მომავალ კვირას ჟორესის მკვლელობის წლის თავზე საფრანგეთის მუშები ემზადებიან მისი ხსოვნის აღსანიშნავათ.

„რ. ვ.“

**ბუქარესტი.** ავსტრიელებს აუარებელი ჯარი გადმოყავს ს. ბოიანთან ბუკოვინის ფრონტზე და მაგრდებიან ბოიან-პრუტის ხაზზე რუმინიის საზღვრებამდე.

**კოპენჰაგენი.** "ფრანკფურ ცაიტუნგ"-ი იუწყება: ეგვიპტის სულთანს სურდა ტახტისათვის თავი დაენებებია მას აქეთ, რაც ხელმეორეთ მოინდომეს მისი სიკვდილი, მაგრამ ინგლისის მთავრობის გავლენით მან ეს აზრი შეიცვალა.

ინგლისის მთავრობამ გადასწყიტა არ გაგზავნოს ეგვიპტელი ჯარის კაცი დარდანელში.

**კოპენჰაგენი.** ამ უკანასკნელ დროს ინგლისის ჯარის კაცთა გზავნა საფრანგეთის ფრონტზე გაძლიერდა.

### ქ ნი ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას მდგომარეობა.

სახ. სათათბიროს წევრმა ა. ფ. კერენსკიმ ამ დღეებში მიიღო ცნობა, რომ რუსეთის რევოლიუციის დიდი—დედა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას კირენსკს აგზავნიან. უკანასკნელის ავათმყოფობისა გამო, დეპუტატმა შუამდგომლობა აღძრა, ეს გადასახლება შეუცვალონ ბალაგანსკში გადასახლებით. გუშინ დეპ. კერენსკის წერილით მიიღო აცნობოს ბრეშკოვსკაიას იაკუტსკში გაგზავნა. დეპუტატმა ხელახლა აღძრა შუამდგომლობა ბრეშკოვსკაიას სასჯელის შესამსუბუქებლათ. მ. ე.

### რუსეთის ქრონიკა.

87 სტ. სახელმწიფოს ძირითადი კანონებისა, გამოცხადებულია უმაღლესი უკაზი უმართებულეს სენატისადმი, რომ მოწვეულ იქნას სამხედრო სამსახურში შესავსებლათ ჯარისა და ფლოტისა 1896 წ. დაბადებული ახალგაზრდანი.

გამოცხადების პირველ დღეთ ინიშნება 7 აგვისტო 1915 წ. „ბ. ვ.“

**კოპენჰაგენი.** ბერლინიდან იუწყებიან, რომ სასახარებო სინოდმა დაადგინა კვირას ომის წლის თავზე ყოველ ადგილს და ყველა ტაძარში პარაკლისი გადაიხადონ და იმავე დროს მოახდინონ შეწირულების შეკრეფა ომში დაღუპულ ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოთ.

ცნობილი სოციოლოგი პროფესორი ვოლფის თავმჯდომარეობით დააწესეს საზოგადოება მშობიარობის შემცირების წინააღმდეგ საბრძოლათ..

### საზღვაო მინისტრი ფონ ტირპიცის პარტიის გამარჯვება.

**კოპენჰაგენი.** პოზიცია გერმანიის მთავრობისა ამერიკის ნოტის საპასუხოთ საბოლაოთ გამოირკვა. გერმანიას არ სურს უპასუხოს შეერთებულ შტატების ნოტას და იმავე დროს აძლიერებს წყალქვეშა ნავების ბრძოლას. ეს გარდაწყვეტილება ნიშნავს საზღვაო მინისტრი ფონ-ტირპიცის პარტიის სრულ გამარჯვებას, რომელსაც მხარს აძლევს გერმანიის პრესის უმრავლესობა.

ნაფიცი პანგერისტი ფონ-ტირიპიცისა და თავგამოდებული მოქადაგე შეუბრალებელი წყალქვეშა ბრძოლისა გრაფი რევენტლოვი ირწმუნება, რომ „დოიტ-ტაგესცაიტუნგ.“ ღებულობს გერმანიის ყველა ადგილიდან მთელს გროვა წერილებს, რომლებშიაც ერთხმათ მოითხოვენ ენერგიულ ტაკტიკას ხმარებას ამერიკის მიმართ.

ბერლინის გაზეთი „მიტაგ ცაიტუნგი“ იუწყება, რომ ამ დღეებში კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა ბულგარეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ბულგარო-ოსმალეთის მოლაპარაკების საბოლაოთ გარდასაწყვეტათ.

**ათინა.** ბულგარეთის მთავრობა ენერგიულათ ამაგრებს თავის სტრატეგიულ ადგილებს ჰეგეის ზღვის ნაპირებიდან 25 კილომეტრზე.

**სოლუნი.** გუშინ ჩამოვიდა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრათ ნამყოფი კრიუპნი, რომელმაც ბალკანეთის ქვეყნებში იმოგზაურა.

**ბუქარესტი.** ავიატორი პოპოროჩიკი ბერსეან 500 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და დაიმსხვრა.

**სოფია.** სამხედრო ჰაეროპლანი, რომელიც დაფრინავდა სოფიაზე, მოტორის გატეხისა გამო, ჩამოვარდა. ორი ლეიტენანტი ავიატორი მოკვდა.

**ლონდონი.** ავსტრო-გერმანელების-წამოწევა სერბიის ფრონტზე აგვისტოში დაიწყება. ენვერ—პაშა თავის პროკლამაციებში, რომელიც ურჩევს ოსმალეთის ჯარს ეწინააღმდეგონ მტერს სრუტეებში უკანასკნელ ძალამდე, ამატებს: „ახლოა ის საათი, როდესაც სერბია განადგურებული იქნება და გერმანიის ჯარი კონსტანტინეპოლამდე მოაღწევს.

**ბუქარესტი.** რუმინიის მუშათა წრეებში, განსაკუთრებით ასოთ-ამწყობებში, მოძრაობა გავრცელდა და მუშათა ბელადები გადადიან გერმანელების მხარეზე. „რ. ვ.“

### შედეგი ოსმალო-ბულგარეთის შეთანხმებისა.

დიპლომატიური წრიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთის მთავრობა ემზადება მოსთხოვოს საბერძნეთს დათმობა მაკედონიის ნაწილისა, უმთავრესათ კავალისა, და ამასთან მოითხოვენ სერბიისაგან მაკედონიის ნაწილებს. საქმე იმაშია, რომ, თუ ვინიცობაა საბერძნეთი მიემხრობა მოკავშირეებს, მას მთელის საშიშროება ბულგარეთის მხრით. ეს აზრი უკვე გამოსთქვა საბერძნეთის გენერალურმა შტაბმა. ამავე აზრისანი არიან საბერძნეთის სასახლის სფეროშიაც. ასეთი შიში კი ძრიელ სასარგებლოა ავსტრო—გერმანელების დიპლომატიისათვის.

ასეთია ბულგარეთის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ვენასა და ბერლინს და რომლითაც ბალკანეთის მდგომარეობა დღითი-დღე რთულდება „ბ. ვ.“

**სოლუნი.** 21 ივლ. მიტილენიდან იუწყებიან, რომ მოკავშირენი სცდილობენ თავი დაუარონ მტერს აჯიბაბასთან. ოსმალეთის მემკვიდრე დარდანელში დაბრუნდა. მიტილენში მოვიდა ორი ტრანსპორტი ჯარით. მუდროსზე მოვიდა 15 ტრანსპორტი. მიტილენში ტრანსპორტი ჯერ არ გადმოუსხავთ. ფიქრობენ, რომ ანატოლიის ნაპირებზე გადასხავენ 20000 კაცს 80000-დან.

— —

ენვერ ფაშა გაემგზავრა დარდანელის, ანდრიანოპოლის და კირკილისის სიმაგრეების დასათვალიერებლათ.

— —

ინგლისის წყალქვეშა ნავმა ბოსფორის შესავალში ჩასძირა ორი შალანდა და ერთი იალქნიანი გემი.

**ათინა.** 21 ივლ. მოკავშირეებმა გადასწყვიტეს აზიის სანაპიროს დაკავება. ხმებია, რომ სამხედრო სურსათის საწყობი კავკავში საგრძნობლათ დაზიანებულია. ორი კვირის წინ ზღვაში გასული გერმანიის წყალქვეშა ნავი სტამბოლს აღარ დაბრუნებულა.

### სახელმწიფო სათათბირო.

**პეტროგრადი.** 22 ივლ. ბეჭდითი სიტყვით კომისიის თავჯდომარეთ აირჩიეს შუბინსკი, მის ამხანაგათ ეფრემოვი და მდივნით კრუპენსკი, სამხედრო ცენზურის მეორე მომხსენებლათ აირჩიეს კაპნისტი, კომისიამ სთხოვა სათათბიროს, ნება მისცეს გადასინჯოს სამხედრო ცენზურის კანონპროექტი ბეჭდითი სიტყვის კომისიაში და არა სამხედრო საზღვაო კომისიაში, რადგან ეს უკანასკნელი დატვირთულია ბევრი სამუშაოთი.

**ლონდონი.** 21 ივლ. ინგლისის პრესა აღტაცებით მიეგება სახ. სათათბიროს გახსნას და საზონოვის და პოლივანოვის სიტყვებს.

### სპარსეთი.

**თეირანი.** 22 ივლ. მეშედში მოვიდა ყაზახთა რაზმი. ბირჯანდასთან რაზმმა გაფანტა გერმანიის ქარავანი. გერმანელებმა დასჭრეს ბირჯანის ვიცე გუბერნატორი, მოკლეს მისი მსახური.

---

### ქ. ქუთაისი, 24 ივლისი.

თითქმის თვე, რაც ქართულ გაზეთებში ქუთაისის ქართულ გიმნაზიის შესახებ სწერენ; კერძოთ ჩვენმა გაზეთმა საკითხი ნათლათ და აშკარათ დააყენა: ყველაფერი რიგზეა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში თუ არა? პოლემიკიდან უკვე მრავალი რამ გამოირკვა, ხოლო საკითხები, რომელსაც ჯერ არ შეხებია ეს პოლემიკა და ფაქტები, რომლებიც ჩვენ ხელთ არის, კიდევ უფრო მრავალია. მათი გამოაშკარავება, მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, მით უმეტეს ძნელი გახდა, რომ ჩვენ ყველანაირის საშუალებით გვაშინებენ. სხვათა შორის, იმითაც, რომ საქმის გამომზეურებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს თვით დაწესებულებასო. სურთ საფრთხის წინაშე პრესა ლაჩარი გახადონ. მაგრამ ჩვენი წმინდა მოვალეობაა, ასეთი დებულება უარვყოთ და ავუხსნათ საზოგადოებას, რომ კიდევ ერთი მეტი საფრთხე და ისიც საეჭვო საფრთხე იქ, სადაც ყველაფერი ჭეშმარიტ საფრთხეშია ჩაფლული, არაფერს ნიშნავს, და არც უნდა გვაშინებდეს. ქუთაისის ქართული გიმნაზია ღირს იმათ, რომ საზოგადოებამ მასთვის მღელვარებაც განიცადოს და გულის ცემაც გამოიაროს.

მაგრამ ჩვენ გვაოცებს ერთი გარემოება. თითქმის თვეა, რაც ამ გიმნაზიის შესახებ გაზეთებში აუარებელი რამ იბეჭდება, თითქმის ყველა წერილი მიმართულია ამ გიმნაზიის მთავრობის, იქ გამეფებულ წესებისა და უიმედო მდგომარეობის წინააღმდეგ, ეს ბრალდება იოტის ოდენათაც არ არის უარყოფილი, რაც დიდ ზიანს აყენებს გიმნაზიის პრესტიჟს საზოგადოებისა და მთავრობის თვალში და გიმნაზიის ნამდვილი პატრონი—სასკოლო კომიტეტი—კი სდუმს. სად არიან წევრნი ამ კომიტეტისა? ჩვენ არ ვიცით მიზეზი ამ მდუმარებისა, იქნება კომიტეტის წევრებმა დაივიწყეს თავისი მოვალეობა! მაშინ ჩვენ იძულებულნი ვართ გავახსენოთ კომიტეტს მისი უფლება. რადგანაც პირადათ ჩვენი გაზეთი ბევრს მსჯელობს გიმნაზიის შესახებ და, შესაძლებელია, ჩვენი აზრი მართლაც შემცდარი და საზიანო იყოს გიმნაზიისთვის, კომიტეტს აქვს უფლება გვითხრას—თქვენ სცდებით!

ჩვენ ველით ამას კომიტეტისაგან.

---

## ნ ა გ ვ ი ა ნ ე ვ ი.

ვსწერ და ვფიქრობ: საცაა გამოხტებიან ქუთათური ბობჩინსკები და დობჩინსკები და განაცხადებენ:

ქუთაისში სცხოვრობს ბ. ვასილ წერეთელი, რომელმაც პირველმან დააარსა გაზეთი „იმერეთი“ და ქუთაისში სცხოვრობს კიდევ ექიმი ბადრიძე, რომელმაც აგრეთვე დააარსა გაზეთი „იმერეთი„, ასე ვფიქრობ, რადგანაც სწორედ ასე სწერენ ბ. ვ. წერეთელიც და ექიმი ბადრიძეც „სახალხო ფურცელში“. ვაძლევ რა წინადადებას ბ.ბ. წერეთელსა და ბადრიძეს გამოიანგარიშონ დანამდვილებით, ვინ იყო მაინცა და მაინც მათ შორის უფრო პირველი, რომელმაც ასე ვსთქვათ დააარსა გაზეთი „იმერეთი“—მე მოწიწებით ვფიქრობ, რომ იმ საგნისათვის, რომლისათვისაც ამხედრდენ ეს პატივცემულნი პირნი, ისტორიული ფაქტი გაზეთის დაარსების შესახებ ვერაფერი თამასუქია. ანდერძათ უტოვებ შთამომავლობას არასოდეს არ დაივიწყოს ლვაწლი ამ ორ ქუთათურ ადამიანისა, მანამდე კი, როგორც ფრანგები ამბობენ, დავუბრუნდეთ მკითხველო, ჩვენ ცხვრებს.

ბ. ვ. წერეთელმა „სახალხო ფურცელში“ მხიარული წერილი მოათავსა და დაამტკიცა რა უებროთ, რომ მე შემცდარი ვარ, წინადადება მომცა საჯაროდ მეღიარებინა ჩემი შეცდომა, მით უფრო, რომ მე, როგორც ბ. ვ. წერეთელი ბრძანებს, საზღვარგარეთაც ნამყოფი ვარ. აზრი მეტის მეტათ ლამაზია, თუმცა არგუმენტი უცნაური! გამოდის, რომ მე უფლება აღარ მაქვს იგივე მოვსთხოვო ბ. ვ. წერეთელს, რადგანაც, რამდენათაც მე ვიცი,—ის ბ. ვ. წერეთელი—საზღვარგარეთ, არ ყოფილა. თავისი წერილი რომ ზედმეტი ეფექტით გაეძლიერებინა, ბ. ვ. წერეთელმა ისიც სთქვა, რომ მე ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულებას გადაუხვიე. უცნაური აზროვნების აღმაფრენია ბ. ვ. წერეთლის თავისი უეჭველი აზრი მას მუდამ მიმართულებას ... ჩვენ არ დავეთანხმე ამ აზრს, მაშ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისთვის გადამიხვევია.

თუ ასეა, მაშინ ვ. წერეთელმა ის ძნელი დებულებაც უნდა დაამტკიცოს, რომ ვ. წერეთელი და ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება ერთი და იგივე არის. მე ვუცდი ამ კურიოზს. უმეტეს კურიოზად მიმაჩნია ის გარემოება, რომ ყველაფერი ეს საბუთად გამოიყენა ახლა, როცა სულ სხვა საკითხს ეხება იგი და ეს საკითხი კი არა არის რა, თვინიერ ბ. ი. ოცხელის ვექილობისა. ბ. ვ. წერეთლის ასეთს კატეგორიულ მოტყუებას, თავისი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მან, როგორც ქუთაისის ქართული გიმნაზიის ექიმმა, ალბათ, კარგათ იცის საქმის ვითარება. პირადათ მე კმაყოფილი ვარ, რომ ძველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე კისრულობს ასეთ პასუხის მგებლობას საზოგადოების წინაშე და თავის ავტორიტეტით სურს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ქუთაისის გიმნაზიაში ყველაფერი რიგზეა და ერთადერთი ნაკლი მხოლოდ ის არის, რომ იქ ბავშვები ხანდახან ცეებ-ცხელებით არიან ხოლმე ავათ, რაიც არაფერია, ვინაიდან ამ ერთადერთ ნაკლსაც ის, ბ. ვ. წერეთელი, ასწორებს.

კეთილი არიან მორწმუნენი. ვნახოთ!

 შ. ამირეჯიბი

---

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ კვირას, 26 და ორშაბათს 27 ივლისს ქ.ქუთაისში, ჩვენი ძმების აჭარლების სასარგებლოდ გაიყიდება გაზეთი „ძმური სიტყვა“.

გაზეთის გამყიდველებს თან ახლდებათ ფულის მომგროვებელნი ყულაბებით.

ქუთაისის ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ქუთაისის ახალგაზრდობას—ქალებსა და ვაჟებს—დაეხმარონ მას გაზეთის გაყიდვასა და ყულაბების დატარებაში.

მსურველნი უნდა გამოცხადდენ შავი ქვის საბჭოს დარბაზში, შაბათს 25 ივლისს საღამოს შვიდ საათზე.

✦ ჩვენ თანამშრომელს ნატან ელიაშვილს გადაუთარგმნია ებრაულ ენაზე „ქრისტინე და განკარგულება“—ე. ნინოშვილისა. თარგმანი დაიბეჭდება რუსეთში ებრაელთა ერთერთ გამოცემაში.

✦ ზესტაფონში ამას წინათ გახსნეს პროგრესტორი მღვდლებმა პლატონ ცქიტიშვილმა და ქს. ღამბაშიძემ, მაგრამ, რადგან იზარალეს, დაკეტეს.

✦ **სეირნობა.** ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ნება დართო ინჟ. ე. მ. ფრიკს გამართოს 6. სექტემბრისათვის სეირნობა ქალაქის ბაღში შოთა რუსთველის (ბალახვანის ქუჩაზე) და აკაკის სახელობის (არქიერის გორაზე) წიგნთ-საცავ-სამკითხველობის სასარგებლოთ.

✦ **ვაჟას ავადმყოფობა.** ჩვენი მგოსანი ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობა თანდათან ძლიერდება. ამ ჟამათ ის წევს თბილისში წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში. ექიმების რჩევით, ვაჟა დაუყონებლივ უნდა წაიყვანონ წალვერს საავარაკოთ.

✦ ოლქის ლეიტენანტი პიროშინი უმაღლესი ბრძანებით კავკასიის რკინის გზის უფროსათ დაინიშნა.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ აკაკი წერეთლის სახელობის სტიპენდია დაუნიშნა პეტროგრადის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის სტუდ. ვალერიან ჯაფარიძეს, რომელმაც წარსულ წელს დაასრულა 8 ქუთაისის ქართული გიმნაზია ამ ფაკულტეტზე ქუთ. ქალაქის გამგეობას ორი სტიპენდია აქვს დანიშნული 300—300 მან. ილიასა და აკაკის სახელზე.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მთელი მასალები გაუგზავნა ინჟ. ქურდიანსა და ამხანაგობას შესახებ წყალსადენისა, ტრამვაისა, ელექტრონის განათებისა და კანალიზაციის მოწყობისა ქუთაისში.

✦ ქუთაისის საადგილ მამულო ბანკის დამფუძნებელთა არჩევანი სექტემბე-

რში მოხდება. ასარჩევია ოთხი წევრი.

✦ ს. ბაშიდან (ქუთაისის მაზრა), გვწერენ, რომ საზოგადოება დიდ გაჭირვებას განიცდის სიმინდის გამო. ამით სარგებლობენ ჩარჩები და ტყავს აძრობენ ჯერ ისედაც წყალდიდობიდან გაუბედურებულ ხალხს.

✦ წელს ქუთაისის საადგილო მამულთა ბანკის რწმუნებულების კრებაზე დაადგინეს მიეცეს 6000 მან. წარმომადგენლობისათვის გუბ. მარშალს დ. ო. ნიჟარაძეს და ი. კაკაბაძეს 1500 მ. ჩირის გასაშრობ ქარხნის მოსაწყობათ. ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ფინანსის სამინისტროს წარმომადგენელმა სობრიევსკიმ. სამინსტროს ორივე დადგენილება უარ უყვია.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიაში ხელმეორე გამოცდები დაიწყება 20 მარიამობის თვიდან.

✦ გუშინ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახთ ფული დაურიგა.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მოახდინოს ხელახალი აღწერილობა ქალაქის ბიბლიოთეკის წიგნებისა.

✦ ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის გამგეობა აცნობებს ქალაქის გამგეობას, რომ შეერთებულ რჩევისა და გამგეობის სხდომამ უარყო დადგენილება 26 აპრილს მოხდარი საზოგადო კრებისა 69 მუხ. შეცვლის შესახებ.

✦ ს. დიდი ჯიხაიშიდან გვწერენ, რომ ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არ აქვს. ამის გამო სოფლის მამასახლისი უთვლის ქუთაისის ქალაქის გამგეობას შეატყობინოს დაწესებული ნიხრი სხვადასხვა სანოვაგეზე და მისვლა-მოსვლაზე.

✦ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე ლუკა ჯაფარიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 21 ივლისს, ქავქავაძის ქუჩაზე მას დაუკარგია პასპორტი. მპოვნელს ვსთხოვ წარადგინოს ქართულ გიმნაზიაში.

✦ ბაზრის ზედამხედველმა ჩიქოვანმა ოქმი შეუდგინა ორპირის ქუჩის მეპურეს პურის ნიხრს ზევით გაყიდვისთვის.

✦ როგორც სამტრედიიდან გვწერენ, 18 ივლისს, ადგილობრივმა ბოქაულმა ექიმი ჯაშის მონაწილეობით ოქმი შეუყენა აფთიაქის საწყობის მეპატრონეს ნ. კ—შვილს, რომელსაც ბრალდება ყალბი წამლების კეთება.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი ნ. ფ. რუდოლფი ჩრდილო კავკასიიდან თბილისს დაბრუნდა.

✦ ამ დღეებში ფოთის მცხოვრებლები დეპუტაციას გზავნიან სამოსწავლო ოლქის უფროსთან, რათა გადმოტანილი იქნას მომავალ სამოსწავლო წლიდან ყველაის სასწავლებელი, რომელიც ომიანობის გამო გადახიზნულ იქნა ქუთაისში.

✦ გუშიწინდელ ჩვენ გაზეთში მოყვანილი იყო სასტუმრო „ინგლისში“ მომხდარი ინციდენტი და შეცდომით მოყვანილი არ იყო გაბრიელ მიხეილის ძის ცაციაშვილის მამის სახელი.

**შემოწირულობა.**

აკაკი და ნინო ბაქრაძეებმა აჭარლების სასარგებლოთ შემოსწირეს ერთი თუმანი ფული.

---

**მოწერილი ამბები.**

**სიქთავა** (ზემო იმერეთი). 11 ივლისს სიქთავაში დასდგეს წარმოდგენა თ-დ დავით იოსების ძის იაშვილის მეთაურობით. წარმოადგინეს „ირინეს ბედნიერება“ და „უბედური დღე“. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა და საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

**ს. აბედათი.** (სამეგრელო). შარშანდელი მოუსავლობით აბედათის მცხოვრებლები ძლიერ გაჭირვებას განიცდიან. წრევანდელი მოსავლის იმედი ხალხს ნიაღვრებმა გაუცრუა. ხალხის წარკვეთილებას საზღვარი არ აქვს. საჭიროა დახმარება. ცრუ-მორწმუნეობას აქ დიდი გასავალი აქვს. სიმშილობისაგან გამოწვეულს ათას გვარ გადამდებ ავათმყოფობას „იავ-ნანათი“ და „შელოცვით“ უმასპინძლდებიან. უექიმობა და უფერშლობა ხალხს ძლიერ აწუხებს.

**საჩხერე.** საჩხერის ხიდის მახლობლათ 13 ივლისს ქვას თხრიდენ ზაბახიძეები. ერთ მათგანს, ჰიჰიკო ზაბახიძეს, ქვა დაეცა თავში და იქვე სული დალია 18 წლის ახალგაზდა კაცმა.

5 ივლისს კოოპერატივის დასაარსებლათ დანიშნული კრება, სხვადასხვა მიზეზის გამო არ შესდგა, განზრახვა აქვთ ამ მოკლე ხანში კრების მოწვევისა. იმედია, ახლა მაინც დაესწრებიან საჩხერის რაიონის მოწინავე პირები და მტკიცე საძირკველს ჩაუყრიან ამ ფრიად სასარგებლო საქმეს.

როგორც დანამდვილებით ამბობენ საჩხერის პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში სწავლა 7 აგვისტოდან დაიწყება. გამოცდები მოხდება 3 აგვისტოს. სასწავლებელი მოთავსებული იქნება დეკანოიძის სახლში, რომელსაც პატრონი 45 თუმნათ უთმობს წელიწადში.

**ს. ბუიჩევი.** (საჩხერის რაიონი). რამდენათ ეს სოფელი ბუნებით დაჯილდოებულია, იმდენათ ჩამორჩენილია კულტურულათ. გარდა წვრილი კრედიტის ამხანაგობისა, აქ სხვა კულტურული დაწესებულება არ აქვს. საჭიროა სკოლის, სამკითხველოს და კოოპერატივის გახსნა. ამათი გახსნა ადვილი მოსახერხებელია, თუ ადგილობრივი მოწინავე პირები შრომას არ დაიზარებენ ამ საქმეში.

ცუდმა ამინდებმა ვენახები სრულიად გაანადგურა, ასე რომ ღვინის მოსავალი აქ წელს ძალიან ნაკლები იქნება.

---

**თფილისი.**

— ამას წინეთ მოსულმა ნიაღვარმა ერთიანათ წალეკა ს. კონდოლის (კახეთში) სანერგე. 19 ივლისს ეს ადგილები დაათვალიერა საგანგებო კომისიამ. კომისიამ დაადგინა სანერგე ისევ იქ დარჩეს, მხოლოდ ეთხოვოს სათანადო მთავრობას ნაპირების გამაგრება.

— მე-8 საპოლიციო ნაწილის ბოქაული მ. ა. დუმბაძე სამსახურიდან დაითხოვეს. მის ადგილას დაინიშნა მე-3 საპ. ნაწილის ბოქაულის თანაშემწე შვაჩინი.

— განსაკუთრებული კომისიის თავმჯდომარე ლ. მ. ლაგოდა, რომელსაც მინდობილი აქვს კახეთის რკინის გზის დათვალიერება და მისი გადაცემა უკვე ჩამოვიდა თფილისში და შეუდგა თავის საქმეს.

— 140 ვაგონი ფქვილი, რომელიც როსტოვში პარამონოვისაგან იყიდა ქალაქმა, ჯერაც არ მოსულა. მიზეზი ვაგონის უქონლობაა. ამის შესახებ ფირმა დეპეშით სთხოვს ქალაქის გამგეობას მიღებულ იქნას ზომები. ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს მიმართა დახმარებისთვის.

— 22 ივლისს ოსმალეთის ომის ასპარეზიდან მოვიდა რამოდენიმე მატარებელი დაჭრილ და დაავათმყოფებულ ჯარის კაცებით. ჯერ-ჯერობით დაჭრილები მოათავსეს განმანაწილებელ საავათმყოფოში.

— რადგანაც მთელ გორის მაზრაში ვერსად ვერ ვპოვეთ რიგიანათ დაყენებული ხილის სანერგე, სადაც შეიძლებოდეს თვალ-ნათლივ ჩვენება და ახსნა სამრეწველო სანერგის ზრდა-განვითარებისა, ამისთვის ჩვენ განვიზრახეთ ამ მოკლე ხანში მოვაწყოთ ექსკურსია სოფელ სკრაში ძმ. ფრიდონოვების და ავსარქისოვის ხილის სანერგის დასათვალიერებლათ, სადაც გვექნება გამართული ბაასი სამეურნეო თემაზედ. სკრის სანერგეები ჩვენ მიგვაჩნია ყველაზე უფრო რიგიანათ მოწყობილი სხვა სანერგეებზედ. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ჩვენგან განზრახულ ექსკურსიაში, ვთხოვ მიმართონ გორის განყოფილების წ. კ. ს. გამგეს მ. კერესელიძეს და აქვე სანდრო გრძელიშვილს. დღე ექსკურსიის გამგზავრებისა ცალკე იქნება გამოცხადებული. ვთხოვ სხვა გაზეთებსაც ეს განცხადება მოათავსონ. მეხილეობის ინსტრუქტორი **მაქრო ჯავახიშვილი.** (თ. ა.)

---

# იმერეთის ეპარქიალურ საბჭოს საყურადღებოთ.

მრავალჯერ დაწერილა სამრევლო სკოლის მასწავლებელთა აუტანელი მდგომარეობის შესახებ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ეპარქიალური საბჭო ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, თითქო მათ არაფერი ეკითხებოდეს ამ საქმეში.

ეპარქიალური საბჭო იმდენათ ზრუნავს თავის მასწავლებლის კეთილ დღეობაზე, რამდენათაც ბორიტი დედინაცვილი თავის გერზე და ეს ხდება იმ დროს როდესაც ეპარქიალურ საბჭოს წევრთა უმეტეს ნაწილს თავი საზოგადო მოღვაწეებათ მოაქვთ და თვისი წერილებით ავსებენ გაზეთების ფურცლებს. ვინ მოსთვლის იმ ვაი-ვაგლახს, რასაც იტანს სამრევლო სკოლის მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი. აგერ ხუთ წელზე მეტია, რაც მრავალ სკოლაში მეორე კომპლექტიანი გახსნეს, გაგზავნეს მასწავლებლები ზოგი უჯამაგიროთ, ზოგი მცირედი ჯამაგირით იმ პირობით, რომ მათ ორსამ თვეში სრული ჯამაგირი დაენიშნებათ. მაგრამ სამმა კი არა აგერ ხუთი წელი გადის და ბევრი მათგანი კიდევ უჯამაგიროთ მსახურობენ და ზოგიც კი ისევ 10—15 მანეთს ღებულობს თვეში.

ომის დაწყებამდი ეპარქიის მეთვალყურე ყველას პირდებოდა, სინოდმა უკვე გადასწყვიტა თქვენი ჯამაგირების მომატება, აწი ნუ გეშინიათო, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ ჩაილურის წყალი დალია.

ვიცით მხოლოდ ამ ომმა ხელი არ შეუშალა მაზრის მეთვალყურეების და ეპარქიის მეთვალყურის ჯამაგირების მომატებას.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ხშირად თავისუფლდება ისეთი ადგილი, სადაც მასწავლებელს სრული ჯამაგირი აქვს, მაგრამ არავინ ჰფიქრობს, რომ იმ ადგილზე გადაიყვანენ იმ მასწავლებელს, რომელსაც რამოდენიმე წელიწადს უმსახურია. არა, ასეთ ადგილს მათთვის ვინ გაიმეტებს. საბჭოში 16 წევრი ირიცხება, ყველას ყავს შორეული თუ ახლობელი ნათესავი და ამ ადგილს დაიჭერს სრულიად გამოუცდელი მასწავლებელი პროტექციების წყალობით. უჯამაგირო მასწავლებელმა კი უცადოს, ვიდრე სინოდი მისთვის ფულს გამოგზავნიდეს.

წელს მრავალი მასწავლებელი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, ისედაც არის ადგილები თავისუფალი, მაგრამ ეს ბედით დაჩაგრული მასწავლებლები ამ ადგილებს ვერ მიიღებს, თუ ძლიერი პროტექტორი არ იშოვენა; პროტექტორი კი როგორ იშოვნოს, როდესაც ფული არ გააჩნია. თავისუფალ ადგილებზე აგზავნიან გამოუცდელ მასწავლებლებს, ჯარში გაწვეულ მასწავლებლებთა ადგილებზედაც სხვებს დანიშვნენ სრული ჯამაგირით და ის მასწავლებლები კი, რომლებიც რამოდენიმე წელიწადია მსახურობენ, იძულებული გახდებიან, რომ თავის ადგილებს დაუბრუნდნენ ძველ პირობებში. მერე, შესაძლებელია თუ არა დღევანდელ პირობებში ამ ჯამაგირით იცხოვროს მასწავლებელმა? დღეს ორში ერთი დარჩენია სამრევლო სკოლის მასწავლებელთ: ან სიმშილის მსხვერპლი გახდეს, ან და მიმართოს ისეთ საშუალებებს, რაც მასწავლებლის ღირსებას დასცემს ხალხის თვალში. რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ეპარქიალურმა საბჭომ თავისუფალ ადგილებზე გადაიყვანოს ის მასწავლებლები, რომლებიც მცირე ჯამაგირით მსახურობენ რამოდენსამე წლის განმავლობაში. ამას მოითხოვს დღეს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა უმეტესობა, მათი მოთხოვნილობა სამართლიანია და საჭიროა პრესამაც და საზოგადოებამაც ხმა ამოიღოს ამის შესახებ და მხარი დაუჭიროს ეპარქიალური საბჭოსაგან უდანაშაულოთ დასჯილ მასწავლებელთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პრესა თავის აზრს გამოსთქვამს ამის შესახებ.

**გულშემატკივარი.**

P. S. როგორც გავიგეთ მასწავლებელთ უკვე მიუმართავთ თხოვნით ყოვლად სამღვდელოსთვის და იმედია, რომ ყოვლად სამღვდელო თანაგრძნობას გაუწევს მათ.

**გულ.—შ.**

---

# საზოგადოების საყურადღებოდ

საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ გამოცემული ფურცელი—გაზეთი „ძმური სიტყვა“ გაიყიდება როგორც თფილისში, ისე სხვაგან 26 და 27 ივლისს (კვირას და ორშაბათს) და არა 25 და 26 ივლისს, როგორც შეცდომით იყო აღნიშნული ზოგიერთ გაზეთში. თფილისში გაზეთის გაყიდვის საქმეს მეთაურობს განსაკუთრებული ქალთა კომიტეტი ქ-ნნი: ნინო ნაკაშიძისა, ვანდეგილი, ოლღა აღლაძისა და კნ. ანასტასია ამირეჯიბის ხელმძღვანელობით. ვისაც სურს გაზეთის გავრცელებაში მონაწილეობა მიიღოს, ვთხოვთ ჩაეწერონ წინდაწინვე შემდეგ ადგილებში:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში მამადავითის ქუჩა, № 1. სადამოს 7 საათამდე.

2) სახაი „ძმურ ნუგეშში“, მორიგ წევრთან.

3) ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა.

---

# რაჭა.

რაჭაშიც, როგორც სხვა ჩვენს საქართველოს კუთხეებში, წელს არა ჩვეულებრივი ამინდებია. ჯერ იყო და მთელი გაზაფხულის წვიმა. ზაფხული დადგა და კიდევ წვიმები და არა ჩვეულებრივი სიცივეები. მუშა კაცმა ვერც თავის დროზე დათესა და ვერც თავის დროზე დათოხნა სიმინდები და ვენახები.

ივანობისთვე გავიდა ისე, რომ მთელი დღე მუშას გარეთ არ უმუშავნია: დაგვიანდა სიმინდების თოხნა. ახლა წყალდიდობამ სულ წალეკა ფერდო ალაგებიდან მიწის სიმსუქნე. ჰალა ალაგები ქვა-ლოდით აავსო, ან და გაჭრა და ყოველი ნამუშევარი ისე გააყვითლა და ისე ჩაჰკარგა, რომ იქ ნამუშევარი აღარ მოვა.

ვენახებს ვერავინ უწამლა დროზე ან წამლის უქონლობის გამო, ან უამინდობისა გამო. მაგრამ მშვენივრათ ესხა და ფოთოლიც საუცხოვოთ იყო ამწვანებული და სრულიად უვნებლათ. ივანობისთვეში დაჰკრა სიცივემ და ნაყოფი სულ შეახრუკა და ცალიერი ფუცხვი დარჩა მტევნებისა. ფოთოლი ისე შეუხრუკა, გეგონება რთველი უკვე გაუთავებიათო.

ერთი სიტყვით, ხილიც მოისპო წელს რაჭისთვის და ვენახიც.

ასეთი გამუდმებული წვიმები არავის ახსოვს. პურისა და სიმინდის მოსავალს კარგს ველით.

არ იქნა, არ გამოჩნდა კაცი, რომ ყურადღება მიაქციოს რაჭაში სიძველეებს, ციხე-კოშკებს. ყოველ წლობით ამ ჩვენის ძველი დროის უენო მოწმეებს და დიდებას ულმობელათ ანადგურებს ყრუ და გაუკებარი კაცის ხელები. ავიღოთ, მაგალ., ხოტევის ციხე. ეს ვეებერთელა ციხე, ეს არის დაილევა: ყოველ წლობით აქაველ მცხოვრებლები და მისი ქვისაგან თავლებსა და ქვის ზღუდეებს აგებენ თავისთვის.

კმარა, ბატონებო, ასე ულმერთოთ განადგურება ჩვენი სიძველისა. ვგონებ, თბილისისა და ქუთაისის ეთნოგრაფიულის საზოგადოებების ვალი იყოს, მოახდინოს განკარგულება, რომ ვინც ასეთს საქმეს ჩაიდენს, ის კანონით დაისჯება. იმედია, მიაქცევენ ყურადღებას ჩვენი საზოგადოებები, რათა მოსკოვში არ დაგვჭირდეს შეხვეწნა სხვადასხვა გრაფინიებისათვის...

როგორც იქნა გადაწყდა დიდი ხნის გამწვავებული საკითხი: სამოქალაქო სასწავლებელი უნდა აიგონ ნიკორწმინდაში, გაიტანეს ლელო ნიკორწმინდელებმა, და წააგეს ჭელიაშელებმ ხოტევმა, თლუღმა და წვადისმა. მოხდა დიდი უკანონობა, სასწავლებელი უნდა აშენებულიყო შუა ალაგას და არა განაპირას. მშვენიერი ალაგია ნიკორწმინდა ზაფხულში, თვალი უკეთესს ვერას ნახავს, მაგრამ მობრძანდით ზამთარში და მაშინ კი სულ სხვას ბრძანებთ აქაური ბუნების შესახებ. ნიკორწმინდა 4,000 ფუტის სიმაღლეზეა. აქ ისეთი ქარ-ბუქი იცის ზამთარში, რომ ხშირათ სახლებს დაჰკარგავს ხოლმე თოვლის ბურანი და ხშირათ მოსახლეები სთვლიან თავის თავს შეათვალიერონ ცუდს ტაროში უბნები და თუმც შეამჩნიეს დამარხული, სახლები, გაჩხრიკენ თოვლს და უშველიან იქ მომწყვდეულს ხალხს და ოთხფეხს. ასეთს ალაგს ზამთარში ხომ მეცადინობა არ შეიძლება. აქ ხომ ქალაქის ქუჩები არაა, რომ გაწმინდონ „ყოველ დღე და თავისუფლათ ვიაროთ. სწორეთ დიდი შეცთომაა აქ სამოქალაქო სასწავლებლის დაარსება, მაგრამ რაღა გაეწყობა.

არც ნიკორწმინდელებისთვის იქნება ბოლოს სასიამოვნო ეს საქმე. ერთს სოფელს, რაც უნდა დიდი და შეძლებული იყოს ის, ძლიერ საძნელოთ შეექნება, მისი შენობის აგება და გადასახადები მძიმე ულით დააწვება თითო მოსახლეს, მაგრამ მაშინ გვიანღა იქნება: „თითზე კბენანი“ ოქმმი შედგარია და ხელმოწერილი, თხოვნა მზრუნველის მიერ მიღებულია და ჯეროვანი განკარგულებაც უკვე მოუხდენია, როგორც გადმოგვცეს.

**ს. დათუშიძე.**

---

# დაბა-სოფელი.

**სოფ. ონოღია** (სამეგრელო). ს. ონოღია ეკუთნის სენაკის მაზრას. სძევს მდინარე ცხენის წყლის დასავლეთით. სოფლელები მისდევენ სიმინდის მოყვანას. წრეულს, როგორც საერთოდ სამეგრელოში, აქაც შიმშილობაა სიმინდი არ იშოვება და თუ სადმე გამოჩნდა მამასისხლად ფასობს. გლეხ-კაცი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. როცა ხ[illegible] მშიერს, გლეხი სასოწარ[illegible] დება. აი, მაგალითად, [illegible] დ—იას თავის ჩამოხჩობა განეზრახა და თოკი მოემზადებია, მაგრამ დროზე მიუსწრეს და გადაარჩინეს სიკვდილს. მიზეზათ საჭმელის უქონლობა დაასახელა.

წყალდიდობისას ონოღიას მცირე ზარალი მიაყენა მდინარე ნოღელამ, რადგანაც ნოღელა და ონოღიის შუა აღმართი ადგილია. ცხენის-წყალმა ზარალის მაგივრად სარგებლობა მოუტანა ონოღიას: დაყარა რიყეებზედ მთიდან ჩამოტანილი შეშა. ხალხი აგროვებს შეშას და აგერ ორი კვირაა რაც ეზიდება სახლში.

ს. ონოღიაში 1910 წლამდე არსებობდა ოთხ (კლასიანი) განყოფილებანი სამრევლო სკოლა. 1910 წ. მცხოვრების თხოვნით, მთავრობამ ნება დართო გადაეკეთებინათ ორკლასიანათ, ხაზინამ ხუთასი მანეთით დახმარება აღმოუჩინა, ხოლო დანარჩენი სოფლელებს უნდა გამოეღოთ. მიწა ხალხს უფასოდ დაუთმო ლუკა გაბუნიამ. გადასწყვიტეს აეგოთ ქვის შენობა. მაშინვე ამოირჩიეს საკვარეულოდან თითო კაცი და მიანდვეს მათ სინდისიერად გაეწერათ გადასახადი ფული. ფული იმ წელსვე შეაგროვეს. შენობა აიღო იჯარით ორმა კაცმა. ამის შემდეგ გავიდა ოთხი წელიწადი და შენობის მხოლოდ კედლებია აშენებული და გადახურული. შიგნით გამოწყობილი არ არის. სკოლის ძველი სახლი გაყიდეს. ამ რიგად 1910 წლიდან სწავლა სწარმოებს სოფლის მიყრუებულ კუთხეში, დაქირავებულ სახლებში და მასწავლებლები მოწაფეებითურთ დიდს წვალებას განიცდიან.

**ჭიჭე კოტორი.**

---

# ღია წერილი

**ბბ. პ. გელეიშვილსა და ი. გუნცაძეს.**

ამ თვე ნახევარის წინად დეპუტატ ჩხენკელის დახმარებით თქვენ სახლზე მთავრობისაგან გამოვითხოვეთ 24 ვაგონი დამშეულთათვის სიმინდის მისაწოდებლად და დღემდის არც ვაგონები სჩანს და არც სიმინდი. ხალხი უკიდურეს გაჭირვებაშია.

ამიტომ გთხოვთ, ბატონებო, გაგვაგებინეთ მაინც, იმეცადინეთ რაიმე ჩვენდა სასარგებლოთ, თუ მარტო თქვენთვის და თქვენი ამხანაგობის სასარგებლოთ მეცადინეობდით და მეცადინეობთ? თუ იმეცადინეთ, რაში გამოიხატება თქვენი მოქმედება და შემწეობა ამ საქმეში, რომ უბრალო ზრდილობის მოთხოვნილებით მადლობა მაინც მოგახსენოთ? ზემო აღნიშნულ ვაგონების რიცხვიდან ფიქრობთ, თუ არა გვიწილადოთ ნახევარი მაინც? თუ ფიქრობთ, როდის გვეღირსება, ხოლო თუ არ გვაძლევთ, რა საბუთის ძალით? ხომ კარგად იცით, რომ თხოვნა საერთო იყო და მაშასადამე მიღებული ვაგონებიც საერთო უნდა იყოს ყველა ამხანაგობებისათვის. განაწილება უნდა მოვახდინოთ ჩვენ თვითონ საჭიროების მიხედვით. ამას მოითხოვს სამართლიანობა. ამის პასუხს მე ვთხოულობ თქვენგან და გთხოვთ სამი დღის განმავლობაში დამაკმაყოფილოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულ ვიქნები სიმართლის აღსადგენათ განცხადება შევიტანო, სადაც ჯერ არს, რომ თქვენ უკანონოთ გაქვთ მითვისებული ზემო აღნიშნული რიცხვი ვაგონებისა და ბოროტად სარგებლობთ ჩვენის ნდობით. კმარა, ბატონებო, ამდენი ოთმენაც! მეტი სინათლე და სამართლიანობა საზოგადო საქმეში, თორემ იმერული კრიმანჭულებით ყოველთვის ღლეს ვერ გაიტანთ.

იმედია, სხვა ამხანაგობების წარმომადგენელნი ხმას ამოიღებენ და, თუ რაიმეში ვცდები ჩემდა უნებურათ, ნათელს მოფენენ ამ საიდუმლოებით მოცულ საკითხს.

წყალტუბოს საკრედიტო ამხანაგობის წარმომადგენელი

**ბლად. მღვ. იუსტინე ფანცხავა.**

---

## პასუხათ ბ. „გულშემატკივარს“.

გაზეთ „სამშობლოს“ 128-ე №ში თქვენ ეხებით ჩემს ყოფა-ქცევა-მოქმედებას სამსახურის აღსრულების შესახებ. ვინაიდან თქვენ წერილში მოყვანილი ბრალდებები არცერთი სიმართლეს არ შეესაბამება და ყველა ცილის წამებაა, პატივი მაქვს გიპასუხოთ შემდეგი: ჩემს მოვალეობას, როგორც სამოსამართლოს ბოქაულისას შეადგენს:

1. ვალის ნება ყოფილობით გადახდევინების წესახებ უწყებების ჩაბარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქონების ან მოძრავი ქონების აწერა და გაყიდვა და თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონ ადგილობრივ არ მივედი და ჩემი თვალით არ ვნახავ, ისე არც აწერა და არც გაყოფა არ შესდგება, ამიტომ ათი თორმეტი ვერსის სიშორეზე კი არა, ნახევარი ვერსის სიშორიდანაც არ აიწერება არაფერი, არა თუ ძროხა, ხარი, სახლი, მიწა და სხვა.

2. ყოველივე ქონება, რასაც მე ავუწერ მოვალეს, უნდა ნაჩვენები და შეფასებული იქნეს მომჩივანის მიერ, მაშასადამე, მოვალე-მოპასუხე, მას, ვისიც ვალი მართებს, თავისდღეში არ წაიყვანს 10-12 ვერსზე კი არა, ერთი საჟენის მანძილზეაც ხარსა და ძროხას, პირიქით, დამალავს მისვლის დროს.

3. მამულის ჩაბარება. ამის შესახებ არც ერთი მუხლი სამოქალაქო კანონმდებლობისა არ უჩვენებს მას, თუ სად უნდა მოხდეს ნამულის ჩაბარება. ამიტომ მე ყოველთვის ვეკითხები მეპატრონეს მის შესახებ და მამულს ვაბარებ იქ, სადაც ისურვებს. სახლად კი არა, ეს იმიტომ კი არა, რომ სიარული მეზარებოდეს, არამედ, რომ ჩემი მისვლით და მოწმეების დასწრებით არაფერი ხარჯი მოუვიდეს მეპატრონეს.

4. დათუაძის ქალმა, ნაცვლად მანდიკორის სასოფლო სასამართლოისა, სიახლოვის გამო თვითონ ამოირჩია ბაქანი ორპირი, მე ის საგძლით არ დამიბარებია და არც არაფერზე დაუპატიჟებივარ. თავისსავე საქმეზე ახლდა მოწმეთ ორი კაცი, საგძალიც მათთვის მოიტანა და მათვე შეაჭამა, ალბად. ამას თვით დათუაძის ქალი დაამტკიცებს. ქეეპიდან ორ პირამდე 10-12 ვერსი კი არა, ორიც თუ გამოვა.

5. რომ მე საგძლით ხალხს არ ვიბარებ და არც ამბით, გინდა ოცობით, საქმეზე, ჩემივე საგძალი თვითონ დამაქვს და, თუ არა, ვყიდულობ ადგილობ, ამას დაგიმტკიცებ მე სოფლის მოხელეების ჩვენებით.

6. ორკეც პრაგონს მე არ ვღებულობ და რომ ავიღო, არ ამღებინებენ; ერთი იმიტომ, რომ ჯეროვან წიგნში ვწერ მიღებულ ფულებს და კვიტანციას ვიძლევი; მეორე თხოვნაზე ვნიშნავ ჩემივე ხელმოწერით ანგარიშს; მესამე-ყოველთვიურად სინჯავენ ჩემს მოქმედებას და ორკეცი პრაგონი რომ მიმეღო ამოჩნდებოდა.

7. ოცი წელიწადი მეტია, რაც ბოქაულად ვარ, ჩემი დანიშნულება კარგათ მესმის და რომ ისე მოვქცეულიყავ, როგორც თქვენ იხსენიებთ ორი ზომა პრაგონი ამელო და სხვა ბოროტება ჩამედინა, დარწმუნებული იყავით, ამდენ ხანს არავინ დამაყენებდა სამსახურში.

8. ყოველივე კანონიერ შენიშვნას მე, პირადად იქნება თუ პრესის საშვალებით გამოცხადებული, დიდის თანაგრძნობით მივიღებ, თუ მართლა რაიმე შეცდომას დაუშვებ, ნებით თუ უნებლიეთ, სამსახურში თუ სამსახურს გარეშე და უბრალოდ თავის მართლებას არ შეუდგებოდით, რადგან თქვენ მიერ მოყვანილი სიტყვები ჩირქს მცხებენ მე როგორც სამსახურში, ისე სამსახურს გარეშე და შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, წინადადებას გაძლევთ აცნობოთ საზოგადოებას თქვენი წერილის სიცრუე დღიდან ორი კვირისგან გამავლობაში წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები ოფიციალურ სასამართლოს მივმართო სიმართლის აღსადგენად.

სამსაჯულის ბოქაული **ვლადიმერ ჩაგანავა.**

## პასუხად დ. ოცხელს.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორის ბ. ცინცაძის მიმართ საპასუხო წერილში ბ. დავით ოცხელი მიმოწმებს მე, როგორც რედაქციის საქმესთან ახლო მდგომს. დავადასტურო ის გარემოება, რომ ინციდენტი მათ შორის გამოწვეული ყოფილიყოს მისი ვალის გადაუხდელობის გამო „სამშობლოს“ რედაქციისაგან.

ფაქტია, ბ. დავით, რომ იმ დროს, როცა ქუთაისში ეროვნული ჯგუფი დაარსდა და განიზრახა გაზეთ „იმერეთის“ გამოცემა, ე. ი. 1914 წ. მარტის პირველ რიცხვებში, როგორც ეს გაზეთ „იმერეთის“ გამომცემელი კოლეგიის მიერ მოწვეული კანტორის გამგის დარახველიძის ნაწერმოები წიგნებიდან სჩანს, თქვენი მაღაზიიდან წამოღებულია 5 მარტიდან დაწყებული აპრილის 29 რიცხვამდი ქაღალდი 372 მან და 74 კაპ. ღირებული. ამ ვალიდან თქვენთვის გადაუხდიათ 152 მან. და 74 კაპ. დარჩენილია 220 მან. ამ დროს ი. ცინცაძე, მასთან მეც და სხვა მომუშავე პირები მოწვეული ვიყავით კოლეგიის მიერ განსაზღვრული ჯამაგირით, რომელსაც ვიღებდით კანტორის გამგის დარახველიძისაგან კოლეგიის დახმარებით.

29 აპრილიდან ქრისტეშობისთვის 11 რიცხვამდი, ვიდრე კანტორის გამგე და ხოლო ამავე დროს გაზ „ახალი ივერიის“ რედაქტორი გ. დარახველიძე კოლეგიას გაზეთს ჩამოართმევდა და თავის თავს გაზეთის ბატონ პატრონათ გამოაცხადებდა (იმერეთი დაიკეტა 11 აგვისტოს. „ახალი ივერია“ გამოვიდა 28 აგვისტოს. ამ დროს ი. ცინცაძემ რედაქტორობას თავი დაანება.) გაზეთის ქაღალდის ყიდვა სწარმოებდა თქვენი მაღაზიიდან ნაღდ ფულზე, როგორც ეს იმავე წიგნებიდან სჩანს.

უნდა მოგახსენოთ, რომ რედაქციის არც ერთს მომუშავეს ფიქრათ არ მოსვლია ეზრუნა გაზეთის ქაღალდისათვის, რადგანაც ეს შეადგენდა პირდაპირ მოვალეობას გაზეთის გამომცემელი კოლეგიისა და იმისგან დაქირავებულ კანტორის გამგის დარახველიძისას.

თქვენი ვალის არსებობა გაზეთ „სამშობლოს რედაქციამ მხოლოდ მაშინ გაიგო, (ვიდრე თქვენგან ვყიდულობდით ქაღალდს ვალის შესახებ რედაქციისათვის არა გითქვამთ რა,) როცა რედაქციამ თქვენი მაღაზიიდან ქაღალდის ყიდვა შესწყვიტა და დაიწყო ყიდვა გოკიელის მაღაზიიდან, რომელიც ორ აბაზ ნაკლებ უთმობდა რედაქციას ოზმა ქაღალდს.

ყოველდღიურად რედაქცია ყიდულობდა 3 ოზმიდან 4 ოზმამდი და რჩებოდა მას ფულათ სარგებლობა 1 მან. და 10 შაური. ამ გვარათ თვეში რედაქციას ემატებოდა 30 მანეთამდი, თითქმის ერთი მომუშავეს ჯამაგირი.

აი, სწორეთ, ამ დროს, ვამბობ, „სამშობლოს“ რედაქციამ გაიგო, რომ მართებოდა თქვენი ვალი 220 მანეთი „იმერეთის“ გამომცემელ კოლეგიას, რომელიც მოსთხოვეთ „სამშობლოს“ რედაქციას ოფიციალური წერილით.

ჩემი რწმენით, ბ. დავით, თქვენი ვალის პასუხის მგებელი არის კოლეგია: ყოვლად შეუძლებელია მაღაზიის რომელიმე პატრონი ენდოს ამა თუ იმ რედაქციას თუ უკეთუ მას გარანტია არ ექნება და არ ეცოდინება პირადათ ვისთანაა აქვს საქმე. და, როდესაც 1914 წ. თქვენი მაღაზიიდან „იმერეთის“ რედაქციამ დაიწყო ნისიათ ქაღალდის ხარჯვა, ეჭვი არაა, თქვენც მოითხოვდით ასეთ გარანტიას და გეცოდინებოდათ, თუ ვისთან გექნებოდათ საქმე ფულის გადახდის დროს. თუ უკეთუ მაშინ ი. ცინცაძე, როგორც დაქირავებული რედაქტორი, თქვენთან მოვიდა და გითხრათ ქაღალდი გვინისიავე და პასუხის მგებელი მე ვიქნებიო-აშკარა ამ ფულის გადაუხდელობისაგან იგი თავს ვერ გაითავისუფლებს. და რომ ეს! ასე არ იყო, ამაში თქვენც დამეთანხმებით, ბ. დავით! ახლა საკითხავია: თვით ი. ცინცაძემ, ან მე და სხვა თანამშრომლებმა, რომელთაც მაშინდელი ჯამაგირიც კი გვერგება, ვის მოვთხოვოთ ეს ფული როგორც იმავე წიგნებიდან სჩანს კოლეგიაზე დარჩა 75 მ. ჩემი ჯამაგირი და თქვენთან ერთად მეც საძებარი მყავს ჩემი მოვალე. 75 მ. კი რედაქციაში მომუშავე კაცისათვის კარგ თანხას წარმოადგენს!

პირადათ მე მადლობის მეტი არა მეთქმის რა, თუ ჩემს მოვალეს აღმომიჩენთ.

და აი, სწორეთ, ბ. დავით, უთანხმოების მიზეზი თქვენსა და ბ. ცინცაძის შორის აქ არის. მართალია, თქვენ მხოლოდ „რედაქცია იცით“ ფულის გადახდისათვის, მაგრამ საკითხავია: აქვს თუ არა (რომ „სამშობლოს“ რედაქციამ თქვენი ვალი გადაიხადოს) თქვენს მოთხოვნას, იურიდიული გინდა ზნეობრივი საფუძველი? ჩემი რწმენით, არა, და არც შემიძლია თქვენ შორის მომხდარ უთანხმოების მიზეზათ ფულის გადაუხდელობა ჩავსთვალო.

თქვენს ოფიციალურ წერილზე გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციამ ოფიციალურათვე გიპასუხათ და მიგითითათ იმერეთის გამომცემელ კოლეგიაზე მიგემართათ ფულის გადახდევინებისათვის. პირადათ მე არა ერთჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ ამის პასუხის მგებელი არის კოლეგია და, თუ უკეთუ მაშინდელი კოლეგია ისევ შესდგა გაზეთ „სამშობლოს“ გამომცემელ კოლეგიათ (1915 წ. ბ იოსების მეტს კოლეგიის წევრებიდან გაზეთისათვის თავი არ შეუწუხებია) მე თქვენს წერილს გადავცემ განსახილველათ—მეთქი.

არა ნაკლებ თქვენზე სურდა „სამშობლოს“ რედაქციას შემდგარიყო კოლეგია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო (მიზეზები თვით კოლეგიის წევრებს ეცოდინებათ), არ მოხერხდა.

ამნაირათ მეც და თქვენც (სხვაზე არას ვიტყვი) ღვრჩით ორ წყალშუა.

არც ისე დიდი ხანია გასული მომხდარ განხეთქილების შემდეგ, რომ ორივეს არ გვახსოვდეს ერთმანეთთან ნალაპარაკევი: რადგანაც ქაღალდის ყიდვა და სხვა შემოსავალ გასავლის წარმოება ამ ჟამათ დაკისრებულია ჩემზე, ამიტომ ყველაზე უწინ მე მოგმართეთ თქვენ, როცა გოკიელოვს ქაღალდი გამოელია და წინადადება მომცა ფერად ქაღალდზე გაზეთის დაბეჭდვისა. რედაქცია სულითა და გულით მოწადინებული იყო მკითხველებისათვის მიეწოდებია თეთრ ქაღალდზე დაბეჭდილი გაზეთი, თუ კი ეს შესაძლებელი გახდებოდა და თქვენგან გაზეთის ქაღალდს ზომიერ ფასში შეიძენდა.

პირველ ჩემს შეკითხვაზე—თუ რა ფასში დაგვითმობდი ოზმა ქაღალდს, თქვენ სთქვით:

ფასის შესახებ ჩემს ძმებს მოველაპარაკები და საღამოს 7 საათისთვის მოგცემ პასუხსაო. მე გთხოვეთ ნაშუადღევის სამი საათისათვის მოგეცათ პასუხი, რადგანაც შვიდი საათისათვის დაბეჭდილი გაზეთი უკვე უნდა მიგვეწოდებია მკითხველებისთვის. მართლაც, სამ საათზე გამომიცხადეთ, რომ 7 მანეთ ნაკლებ ოზმა ქაღალდს ვერ მოგცემთო. ბევრი გთხოვეთ, მაგრამ დათქმულ ფასს არ დააკელით და მეც იძულებული ვიყავი ეს ფასი გადამეხადა. მეორე დღესაც გთხოვეთ ფასი დაგეკლოთ, მაგრამ თქვენ არ დასთანხმდით. მართალია,—თქვენი ძმა ბ. იოსები, გვპირდებოდა, რომ თითოეულ შვიდი მანეთიდან ორ მანეთს უკანვე დაგვიბრუნებდა უკეთუ რედაქცია ძველი კოლეგიიდან ვალს გაგინაღდებდათ, მაგრამ ასეთ წინადადებას ჩვენ ვერ მივიღებდით, რადგანაც თვით ბ. იოსებმა ძალიან კარგათ იცოდა ვინც წამოიღო ის ქაღალდი ან უკეთ რომ ვსთქვათ, თვით იოსები იყო მოვალე და სამშობლოს რედაქცია აქ არაფერ შუაშია ამ წინადადებაზე თქვენ მე გითხარით, რომ მე, არა როგორც რედაქციის წევრი, არამედ, როგორც კერძო პირი, გიშუამდგომლებთ ძველი კოლეგიის წევრებთან, ეს ვალი გადაგიხადონ მეთქი. „სამშობლოს“ რედაქცია და ვერც მე კერძოთ ვერავის ვერ ვაიძულებდით, რომ თქვენ ვექსილით, გინა ფულით დაეკმაყოფილებიეთ.

ასეთია მოკლე ისტორია ამ უსიამოვნებისა. ახლა მკითხველმა განსაჯოს, რამდენათ მართალია თქვენი ბრალდება.*)

**პ. გელაშვილი.**

*) დანამდვილებით გავიგეთ, რომ ძველი კოლეგია მომავალ ორშაბათიდან იწყებს გაზეთ „იმერეთის“ გამოცემას და იმ კოლეგიას მოვსთხოვთ პასუხს იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც თქვენ ჩვენ მოგვაყენეთ. და, როცა გამოირკვევა ყველაფერი, მაშინ თქვენ, ბ-ნო დ. ოცხელო, სამართალში მიგცემთ. სხვაფრივ თქვენი ალაგმვა შეუძლებელი ყოფილა. **რედ.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რ—ქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის ფურცელზე შემდეგი მოვათავსო: 29 თიბათვეს, (პეტრე-პავლობა დღეს) სოფ. ჭალისთავის ღვთის მშობლის ეკლესიაზე გავედი. ეკლესიის გალავანში, ერთი მოზრდილი ხის ქვეშ, ხალხს ბლომათ მოეყარათ თავი. წირვა უკვე კაი ხნის გამოსული იყო, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ხალხი ჯერ კიდევ დაშლას არა პირებდა. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ მეზობლები გარს შემომერტყენ და სხვა და სხვა კითხვა მომცეს ზოგი რას ჩიოდა და ზოგი რას..., მაგრამ ყველა კი ერთად, დღევანდელი ომიანობით გამოწვეული მწარე ფიქრებით იყო მოცული.

ყველა მათი საკითხი ომის გარშემო ტრიალობდა. საერთო თემა ომის საგანი იყო, ვინ გერმანელებზე მეკითხებოდა და ვინ ავსტრიელებზე. ზოგს უფრო კერძო საქმე აწუხებდა. საკუთარი გაჭირვება ამოქმედებდა, ანაღვლიანებდა. ასეთები ცოტა არიყო. ზოგი მათგანი შვილის „უგზო უკვლოთ“ დაკარგვას სტიროდა, ზოგი მამისას და ზოგიც ბრძოლის ველზე განგმირულ ძმის მოსთქვამდა და სხვამეც პირობების, და მიხედვით განუმარტე ყველა საკითხი შეძლებისა და გვარათ, დავაკმაყოფილე მშრომელი ხალხის ცნობის მოყვარეობა და ჩემი სურვილის სისრულეში მოყვანას შევუდექი.

მე მსურდა ჩემი მეზობლებისათვის—აჭარა გამეცნო, აჭარლების დღევანდელი მდგომარეობა გამეთვალისწინებია.

ხალხს ნება ვთხოვე და ისინიც სიამოვნებით დასთანხმდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი სოფლელები სასიამოვნო სურათს წარმოადგენდნენ. მთელი გლეხობა ხის ჩრდილოს ქვეშ დაფენილიყო, რბილი ბალახით მოცულ მიწაზე მორთხმულიყო და სულ განაბული ისმენდა ამბავს ქართველი ერის ისტორიული უბედურებით მოწყვეტილი ძმების შესახებ.

ხან გამოშვებით, როცა მე მოძმე აჭარლების დღევანდელ, ყოვლად უნუგეშო მდგომარეობას ვეხებოდი, მათში გმინვა და ოხვრაც კი, გ ისმოდა.

ჩემი საუბარი დავაბოლოვე მით, რომ დღეს, ქართველმა ერმა თავის ზნეობრივ მოვალეობათ დაისახა ამ უსამართლო დევნილი და საშინელი ომის ქარტეხილისაგან განადგურებული სამშობლო კუთხის აღდგენა. და რომ საქართველოს ყველა დაბა—ქალაქი, შეგნებული სოფლებიც კი თავს წვლილს გზავნიან ამ დიადი საქმის საკურთხეველზე შესაწირათ, ე. ი. გაპარტახებული მოძმე აჭარლების დასახმარებლათ. და ამ დროს უცებ ოთხ-სამმა წამოიძახა „ჩვენც დავეხმაროთ, ჩვენც დავეხმაროთო“ მალე მათ ხვეწის ხმამაც ბანი მისცა და, მართლაც გაჩაღდა შემოწირულება.

ამის შემდეგ საზოგადოება დაიშალა და გლეხები სახლებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ.

აქვე ვადგენ სოფლელთა შემოწირულ ფულს 14 მან. და 35 კაპ. და ვათავსებ შემომწირველთა სიას, თითო მანეთი: მამუჩარ ტუავაძემ, მღვდ. ივლიანე ვირსალაძემ, აკაკი ხუჯაძემ და ანდრო სირბილაძისამ. ათ-ათი შაური: დიმიტრი ტუავაძემ, ნესტორ ანდ. სირბილაძემ, გიორგი ბეროძემ, ლუკა კალმახელიძემ, იუსტინე ხამაშურიძემ, ვლადიმერ კალმახელიძემ, ამბაკო ალფაიძემ, ნესტორ ბეჟ. სირბილაძემ, ანდრია სირბილაძემ, პლატონ ნიკ. ხუჯაძემ, ონისიმე ხამაშურიძემ, ყარამან ხუჯაძემ (მაღალმა).

ორ ორი აბაზი: გიორგი ხამაშურიძემ და ილარიონ კალმახელიძემ. ექვს-ექვსი შაური: სერაპიონ ქათამაძემ, მელენტი ხუჯაძემ და ივანე სირბილაძემ (მაღალმა) თითო აბაზი: იასონ კალმახელიძემ, დომენტი დოდონაძემ, გიორგი თემ. ხუჯაძემ, იოსებ ალფაიძემ, ივანე ხუჯაძემ, ლადიკო სირბილაძემ, სიმონ ტუავაძემ და აბესალო კანდელაკმა და ბიქტორ ალფაიძემ.

სამი შაური გიგო იამანიძემ.

ორ-ორი შაური: ეფროსინა ხუჯაძისამ, ლადიკო დათ. კანდელაკმა, სულ 14 მანეთი და შვიდი შაური.

დასასრულ, ყველა შემწირველთა და ე. ი. ჩემი საუბრის ყურადღებით მოსმენისათვის და ამ შემოწირულებისათვის ჩემს მეზობლებს კერძოთ, მე უღრმეს მადლობას ვწირავ.

**მიხ. ტუ—ძე.**

## სია.

ქართველთა შორის წერა კითხვ. საზოგ. ქუთ. განყოფ. სასარგებლოთ 10 მაისს გამართულ სეირნობა ალეგრისათვის იულია მეძმარიაშვილისამ მოაგროვა შეწირულება შემდეგ პირთაგან:

მატრონა ჯანელიძისამ სავარცხელის ჩასადები, 6 ცხვირსახოცი და ორი ხაპაპური, გუგული ჯანელიძემ ორი საყელო, ნინო ყიფიანისამ ორი ხელსახოცი, ანეტა სნემროვსკისამ ორი ცხვირსახოცი, ქეთო ბალანჩივაძემ სავარცხლის ჩასადები. კასიანე ქომეთიანმა 2 მ., პეპიკო მეძმარიაშვილმა 10 შ., ნატალია წიქორიძისამ 1 მ., შალვა ჯანელიძემ 1 ბომბონერკა უსტაბმა კლევან 10 შ., მინადორა ქუთათელაძისამ 10 შ., ნადეჟდა გველესიანისამ 1 მ., სუსანა ლორთქიფანიძისამ 1 რწყვილი შანდალი, ლიუდმილა ვაშაკიძისამ 10 შ., ივანე პავლეს ძე შავგულიძემ 10 შ., ვიკტორ იოსელიანმა 10 შ., არქიპო ლომაძემ 1 მან. ივლიანე დარახველიძემ 10 შ., სიმონ კვანტელიანმა 1 აბ. თ. კუჭავამ 10 შ., მოსე შენგელიამ და ერისტო ბალანჩივაძემ 1 მან. დიმიტრი გაბუნიამ 1 მან. კირვალიძემ 10 შ., ალექსანდრე თაბაგარმა 10 შ., მ. ქავჭანიძემ 10 შ., ერმილე ჩიკვილაძემ 1 აბ. ივანე ხაინდრავამ 25 ბოთლი ლიმონადი, ესმა წერეთლისამ 10 შ., ლევან ალექსანდრეს ძე შენგელიამ 10 შ., პასიკო სვანიძისამ 10 შ., ნოე ბერიშვილმა 10 შ., გიგოლი ეფრემიძემ 10 შ., იესე ქალეიშვილმა 1 მ. 10 შ., ბესარიონ იმედაძემ 6¾ შ., ვანო ფხაკაძემ 10 შ., იაკოფ ოსიპოვმა 1 გირვანქა სუხარი და 5 ბულკი, ლევან აბაშიძემ 3 გირვანქა ბალი, თებროლე ქომეთიანმა 10 შ., ლიზა ბარათაშვილისამ 9 ცხვირსახოცი, ცუცა ბახტაძემ 1 მან. ნიკიფორე ჯანელიძემ 5 გირვანქა შაქარი, კანფეტი და ბისკვიტი, უცნობმა ელენემ 4 ფერადი ცხვირსახოცი, ქალეიშვილმა 3 აბ. ალ. ნემსიწვერიძემ 10 შ., ნესტორ საყვარელიძემ 10 შ., ავაკ ბრუტიანცმა 6 შ., ევგენი ებრაელიძემ 1 ბა. აპოლონ ყუბანეიშვილმა 1 აბ. თავ. ჩხეიძემ 1 მან. ნიკოლოზ გიორგაძემ 3 შ., ალექსანდრე ქანიშვილმა 10 შ., ოლღა ბახტაძემ 10 შ., ალექსანდრა ბესარიონის ასულმა მოქიასამ 1 მ. რამდენიმე აფიცრებისაგან 1 მ. 10 შ., მიუდილმა 1 აბ.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**


ძმათა ყორყოლიძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.

თვ.

სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.

სამკურნალო აბანო

პ. ვ. ოზოლაძის.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კი: ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.




სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში